თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1401427

ნომერი: AR1237074

თარიღი : 14.07.2014

გაცემის თარიღი : 23.07.2014

გაცნობის თარიღი : 24.07.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სამღერეთი , N 5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ეთერ თანანაშვილი პ/ნ 01024023806
- თბილისი იპ.ხვიჩიას ქ. N 6/8 ბ. 16

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 8 მ-მდე სიმაღლის მქონე ანძა, ანტენა, გაყვანილობისა და განათების ბოძი ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებული შენობის სახურავზე სს "სილქნეტი"-ს ერთ დგარზე 3 საბაზო რადიოსადგურის განთავსების

შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი–ნაძალადევი, სამღერეთის ქ. #5–ში, შპს "გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის სახურავზე სს "სილქნეტი"-ს ერთ დგარზე 3 საბაზო რადიოსადგურის განთავსებას. განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა დარომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის საკადასტრო მონაცემები #01.12.14.094.004; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, შპს "მერიდიანი – 2005"–ის სანიტარული დაცვის ზონის ორგანიზაციისა და კეთილმოწყობის პროექტი; სს "სილქნეტი"–ს რწმუნებულება #501/05-8 18.02.2014 წ; იჯარის ხელშეკრულება) ქალაქთმმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი–ნაძალადევი, სამღერეთის ქ. #5–ში, შპს "გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის სახურავზე სს "სილქნეტი"-ს ერთ დგარზე 3 საბაზო რადიოსადგურის განთავსების შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, რომ საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას საპროექტო ანტენების კონსტრუქციული მდგრადობა

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge